

2014 წლის მეორე საგრანტო კონკურსის პრიორიტეტები

**ა) ადამიანის უფლებებისა და სამოქალაქო საზოგადოების მხარდაჭერის პროგრამა**

\* ახალგაზრდული მედიის განვითარების ხელშეწყობა;

**ბ) განსაკუთრებული საჭიროების მქონე ჯგუფების ხელშეწყობა**

\* შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ახალგაზრდების ინტეგრაცია;

\* მოწყვლადი ჯგუფების მხარდაჭერა, კერძოდ:

\*\*ყოფილ მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია;

\*\*იძულებით გადაადგილებულ პირთა მხარდაჭერა;

\*\*ეთნიკური უმცირესობების სამოქალაქო ინტეგრაცია და მათი ჩართვა საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

**გ) სპორტის განვითარების ხელშეწყობა (ახალგაზრდებში სპორტული აქტივობებისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება-პოპულარიზაცია)**

**დ) სოციალური მეწარმეობა:** (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 25-ე მუხლის მე-5 პუნქტი: არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი უფლებამოსილია ეწოდეს დამხმარე ხასიათის სამეწარმეო საქმიანობას, რომლიდან მიღებული მოგებაც უნდა მოხმარდეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის მიზნების რეალიზებას. ასეთი საქმიანობის შედეგად მიღებული მოგების განაწილება არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დამფუძნებლებს, წევრებს, შემომწირველებს, აგრეთვე ხელმძღვანელობისა და წამომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირებს შორის დაუშვებელია) შენიშვნა: პრიორიტეტი სოციალური მეწარმეობა ნიშნავს კანონმდებლობით გათვალისწინებულ დამხმარე ხასიათის სამეწარმეო საქმიანობას, რომელსაც გააჩნია სოციალური მისია და არ ემსახურება ბიზნეს-ინტერესებს, სოციალური მეწარმეობის მთავარი მიზანი ფოკუსირებულია საზოგადოების კეთილდღეობაზე და მიღებული მოგების სოციალური მიზნებისთვის მიმართვაზე;

**ე) სოფლის მეურნეობისა და გარემოს დაცვის მხარდაჭერის პროგრამა**

\* ახალგაზრდებში სოფლის მეურნეობისა და გარემოს დაცვის კუთხით, კრეატიული და ინოვაციური მეთოდების/მიდგომების დამკვიდრება-პოპულარიზაცია;

\* პრაქტიკული ღონისძიებების საშუალებით მდგრადი განვითარების ხელშეწყობა;

\* სოფლის მეურნეობისა და გარემოს დაცვის კუთხით შემდეგი აქტივობების წახალისება:

\*\* შიდა მიგრაციის შემცირება;

\*\* გარემოს დაცვა;

\*\* სოფლად მცხოვრები ახალგაზრდების სოციალური პირობების გაუმჯობესება;

\*\* ახალგაზრდებში სოფლის მეურნეობის, როგორც სტრატეგიულად მნიშვნელოვანი დარგის პოპულარიზაცია.

**ვ) საქართველოს მთავრობის დეცენტრალიზაციისა და თვითმმართველობის რეფორმის პოპულარიზაცია ახალგაზრდებში**

\* თვითმმართველობის იდეის პოპულარიზაცია ახალგაზრდებში;

\* ახალგაზრდების გააქტიურება და მონიტორინგი ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე

გადაწყვეტილებების მიღების პროცესში;

\* ადგილობრივი მოსახლეობისთვის რეფორმით დაგეგმილი სიახლეების გაცნობა;

\* თვითმმართველ ქალაქებში ახალგაზრდული ჯგუფების გააქტიურება.

**ზ) კულტურულ-საგანმანათლებლო და აკადემიური მხარდაჭერის პროგრამა**

\* კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებების უზრუნველყოფა;

\* ახალგაზრდა შემოქმედთა გამოვლენა, მხარდაჭერა და წახალისება;

\* აკადემიური და სოციოლოგიური კვლევების მხარდაჭერა.

**თ) ევროატლანტიკური ინტეგრაციის საკითხებში ახალგაზრდობის ჩართულობის ხელშეწყობა** (ზაღალმთიანი და კომპაქტურად დასახლებული რეგიონებიდან წარმოდგენილი პროექტებისათვის უპირატესობის მინიჭებით)

2014 წლის მეორე საგრანტო კონკურსის ფარგლებში დაფინანსებული პროექტები				
N	ორგანიზაციის სახელწოდება	პროექტის სახელწოდება	მიზანი	თანხა
1	ააიპ „გზა მშვიდობისკენ“	მეკლდეურობა	<p><b>პროექტის მიზანია</b></p> <p>გორის მუნიციპალიტეტში, კონფლიქტური ზონის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები მოსწავლე-ახალგაზრდობაში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების ხელშეწყობა</p> <p><b>განხორციელების გზები</b></p> <p>ნიქოზის წმ. ალექსანდრე ოქროპირიძის სახელობის სკოლის ეზოში საჭიროა ხელოვნური საცოცი კედლის შექმნა და ტრანსპორტირება თბილისიდან ნიქოზში, ხელოვნური საცოცი კედლის მონტაჟი. მონტაჟი განხორციელდება მეკლდეურთა ფედერაციის ექსპერტების მეთვალყურეობით.</p> <p>კონფლიქტური ზონაში მდებარე ნიქოზის თემის 3 სოფლის 100-მდე ოჯახს მიეცემს შესაძლებლობა სოფლიდან გაუსვლელად უზრუნველყოს შვილის ჩართვა სპორტულ სექციაში, მუდმივად 60 ახალგაზრდა ჩართული იქნება სპორტულ ვარჯიშში და შესაძლებლობა მიეცემა თავისუფალი დროის დაგეგმვისა.</p>	19552 ლარი
2	ააიპ „ალიანსი რეგიონალური განვითარებისთვის“	ოცნების შვიდი დღე	<p>პროექტის მიზანია</p> <p>ონკოლოგიურად დაავადებული ბავშვების მკურნალობისათვის აუცილებელი ფულადი სახსრების მოძიება, საზოგადოების ინფორმირება აღნიშნულის შესახებ.</p> <p><b>განხორციელების გზები</b></p>	9905,5 ლარი

			ონკოლოგიურად დაავადებული ბავშვები 1 კვირის მანძილზე განთავსებული იქნებიან „ბერი ანდრია“-ს ფონდის სახლში, უზრუნველყოფილი იქნებიან სამჯერადი კვებითა და ტრანსპორტირებით - ჯანმრთელობისა და სიცოცხლისათვის უსაფრთხო, კომფორტული მინივენიტ; ყოველდღიურად ბავშვები გაივლიან რეპეტიციებს დუმბაძის სახელობის თეატრში და მოამზადებენ ახალგაზრდა რეჟისორის, ანანო დოლიძის, მიერ დადგმულ სპექტაკლს, „ალისა საოცრებათა ქვეყანაში“.	
3	ააიპ „საქართველოს ახალგაზრდულ ორგანიზაციათა ნაციონალური საბჭო“	საერთაშორისო კონკურსი „ალიანტე-2014“	საერთაშორისო კონკურს „ალიანტეს“ 13 წლიანი ისტორია აქვს, მასში ყოველწლიურად მონაწილეობას იღებენ 15 დან 19 წლამდე ახალგაზრდები ნატოს წევრი და პარტნიორი ქვეყნებიდან. კონკურსის მიზანია ახალგაზრდებში ცნობიერების ამაღლება უპირველეს ყოვლისა უსაფრთხოების საკითხების, ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის და საერთაშორისო ურთიერთობების შესახებ.	15040 ლარი
4	ააიპ „ეთიკვინანსი“	სოციალური საწარმოს მდგრადობის უზრუნველყოფისთვის საჭირო ღონისძიებების გატარება	პროექტის მიზანია სოც. საწარმოს შენობის მოწყობა -რემონტი: წარმოებისთვის საჭირო ყველა საფეხურის ერთ, მოწესრიგებულ სივრცეში განთავსება, რომელიც სურსათის წარმოებისთვის საჭირო ჰიგიენურ ნორმებს აკმაყოფილებს ახალგაზრდების მომზადება საწარმოზე პასუხისმგებლობის გადაცემისთვის: ტრენინგები ბუღალტერიაში და მარკეტინგში.	16147 ლარი
5	ააიპ ახალგაზრდული ორგანიზაცია „შავფაროსნები“	ქართული საბრძოლო ხელოვნების ფესტივალი და ქართული სამოსის დღე	ქართული საბრძოლო ხელოვნების ფესტივალი და ქართული სამოსის დღე. ფესტივალის ფარგლებში რუსთაველის გამზირზე მასშტაბური მსვლელობა მოეწყობა, სადაც “შავფაროსნებთან” ერთად, მონაწილეობას ქართულ ეროვნულ სამოსში გამოწყობილი დაინტერესებული პირები და მოწვეული სტუმრები მიიღებენ.	14878 ლარი
6	ააიპ „ევროპული ვექტორის საბჭო“	ხელი შეუწყოს სამცხე ჯავახეთისა და ქვემო ქართლის რეგიონებში მცხოვრები ეთნიკურ უმცირესობებს მიკუთვნებული ახალგაზრდების ცნობიერების ღონის ამაღლებას ასოცირებისა და ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების თაობაზე.	<b>პროექტის მიზანია</b> წაახალისოს სამცხე-ჯავახეთისა და ქვემო ქართლის რეგიონებში მცხოვრები ეთნიკურ უმცირესობებს მიკუთვნებული ახალგაზრდების ფართო საზოგადოებრივი მხარდაჭერა და კონსენსუსი ევრო ინტერგაციის პროცესისადმი  <b>პროექტის ამოცანაა</b> განავითაროს პროექტის მიზნობრივ მუნიციპალიტეტებში მცხოვრები ეთნიკურ უმცირესობებს მიკუთვნებული მოტივირებული, განსწავლული და კრეატიული აზროვნების მქონე განმანათლებლების შესაძლებლობები შეთანხმების არსსა და მისგან მომდინარე ფართო საზოგადოებრივი სიკეთეების თაობაზე, 3 დღიანი სატრენინგო პროგრამა 12 განმანათლებელისათვის (2 პირი თითო მუნიციპალიტეტიდან) შეთანხმების არსისა და მისგან მომდინარე	18250 ლარი

			<p>სიკეთების თაობაზე</p> <p><b>შედეგად</b> პროექტის მიზნობრივ მუნიციპალიტეტებში მცხოვრები ეთნიკურ უმცირესობებს მიკუთვნებული ახალგაზრდები აიმაღლებენ ცოდნას ასოცირებისა და ღრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო ხელშეკრულებების არსისა და მისგან მომდინარე საზოგადოებრივი სიკეთის თაობაზე, რაც მომავალში შესაძლებელს გახდის უზრუნველყოფილ იქნეს ევროინტეგრაციული პროცესის ფართო საზოგადოებრივი მხარდაჭერა ადგილობრივ დონეზე</p>	
7	ააიპ „მარაბდის ახალგაზრდული ასოციაცია“	მწვანე ვაშლი	<p><b>პროექტის მიზანია</b> შექმნას ახალგაზრდული პლატფორმა, ახალგაზრდული სადისკურსიო სივრცე და ამავდროულად, ავტორიტეტული, ობიექტური იმიჯის მქონე ბრენდი - „მწვანე ვაშლი“ რომელიც ახალგაზრდებს მისცემს განვითარების, დამატებითი ინფორმაციის მიღების, მათთვის მნიშვნელოვანი და საინტერესო ადამიანების გამოცდილების გაზიარების საშუალებას.</p> <p>დაიგეგმება საინტერესო შეხვედრა საზოგადოების სხვადასხვა სფეროს წარმომადგენელთან, მათ შორის იქნებიან პოლიტიკოსები, სპორტსმენები, კულტურისა და განათლების, ეკონომიკის, სოციალური თუ სხვა სფეროსა და მიმართულებების წარმომადგენლები. ახალგაზრდები არაფორმალურ, მყუდრო კაფეში მოაწყობენ შეხვედრებს, ხოლო შეხვედრების ამსახველ მასალებს განათავსებენ სოციალურ ქსელებსა და საიტზე, ბლოგებისა და ვიდეო-მასალების სახით. პროექტი გაგრძელდება 4 თვის მანძილზე პროექტის პირდაპირ ბენეფიციართა რაოდენობა 300, ხოლო არაპირდაპირ (მაყურებლების სახით) რამდენიმე ასეულს შეადგენს</p>	14544,5 ლარი
8	ააიპ „საქართველოს ახალგაზრდა ხელოვანთა ასოციაცია (სახა)“	ეგო-არტი	<p>2013 წელს ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტი „ეგო-არტი“ წარმატებით ჩატარდა, რამაც გამოიწვია დიდი ინტერესი, რომ პროექტს რეგულარული სახე მიეღო, რადგან მისი მიზანია საქართველოს რეგიონებში არსებული ნიჭიერი ახალგაზრდების გამოვლენა, ამა თუ იმ რეგიონის წინ წამოწევა კულტურული თვალსაზრისით. ასევე პროექტის მიზანს წარმოადგენს, ნიჭიერი ახალგაზრდებისთვის დაბეჭდილ იქნას კრებული და მოეწყოს რეგიონალური ტურნე, რათა მათი შემოქმედება წარვუდგინოთ ფართო საზოგადოებას.</p>	17345 ლარი
9	ააიპ „მომრაობა ხელმისაწვდომი“	მე ვახდენ თვითრეალიზაციას - მე ვიცავ	<p>ღია ცის ქვეშ, სამდლიანი ბანაკის მოწყობა, სადაც შშმ მოზარდებთან ერთად იქნებიან სხვადასხვა სფეროს წარმატებული წარმომადგენლები - ცნობილი</p>	19390 ლარი

	გარემოსათვის“	უფლებებს	სახეები, რომლებიც ერთობლივად გამართავენ სხვადასხვა ტიპის შეჯიბრებებს, ბანაკის პირობებში, ექნებათ მეტი სიახლოვე (ფოტოხელოვანი, მუსიკოსი და სპორტსმენი). ბანაკში ცხოვრების დროს მოხდება, როგორც შემოქმედებითი სადამოების მოწყობა კოცონის ირგვლივ. ასევე, ადვოკატორების მცირე კამპანიების განხორციელებაც. კერძოდ, მონაწილეები მოიწვევენ ადგილობრივი მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებს, რომლებსაც გააცნობენ საკუთარ ხედვას გარემოს ადაპტირებაზე და მისცემენ ამის მაგალითს (საკუთარი რესურსით მოახდენენ იმ ტერიტორიის ადაპტირებას) და მოთხოვენ იგივე აქტივობების გატარებას მუნიციპალიტეტების მხრიდან.	
10	ააიპ „მრავალარხიანი დიპლომატიის ინსტიტუტი-საქართველო“	მშვიდობის ბანაკი	<p><b>პროექტის მიზანია</b> ხელი შეუწყოს მშვიდობის მშენებლობისა და ევროინტეგრაციის პროცესში ახალგაზრდების ჩართულობის გაზრდას ურთიერთგამოცდილების გაზიარებისა და ერთობლივი სამშვიდობო ინიციატივების შექმნისათვის</p> <p><b>პროექტის ამოცანაა</b> „მშვიდობის ფესტივალის“ ფარგლებში საერთაშორისო ახალგაზრდული ბანაკის მოწყობა ევროინტეგრაციის, როგორც მშვიდობისა და სტაბილურობის გარანტის დაფიქსირების მიზნით.</p> <p>„მშვიდობის ბანაკი“-ს ორგანიზება მოხდება დაბა ანაკლიაში. ბანაკი მოიცავს როგორც გასართობ, კულტურული და სპორტული აქტივობების ერთობლიობას, ასევე ლექცია-სემინარებს, დებატებსა და პრეზენტაციებს. პროექტში მონაწილეობას მიიღებს 80-მდე ახალგაზრდა აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებიდან</p>	19545 ლარი
11	ააიპ „სტუდენტური ერთიანობა“	წიგნი ყველა სოფელს	<p><b>პროექტის მიზანია</b> რეგიონის სოფლების სკოლებისათვის ბიბლიოთეკების შექმნა</p> <p><b>დასახული ამოცანები</b> გულისხმობს პირველ ეტაპზე სკოლის მოსწავლეების და სტუდენტების ინფორმირება ინდივიდუალური შეხვედრებით და პრეზენტაციებით და ამ კონტიგენტის მობილიზება თვითმართველობებთან აქტიური თანამშრომლობით. მოხალისე წევრებთან ერთად პროექტის პოპულარიზაციაზე იზრუნებენ სტუდენტები, რომლებიც ორგანიზებას გაუწევენ წიგნების შეგროვების პროცესს. საზოგადოებას ინფორმაცია მიეწოდება მასმედიისა და სოციალური ქსელების საშუალებით. ამავდროულად წიგნების შეგროვება</p>	10600,92 ლარი

			<p>მოხდება ვისოლის ბენზინგასამართ სადგურებზე, ვენდისის ქსელში, სმარტის სუპერმარკეტებში, თბილისი მოლში და ტაოპრივატბანკის ყველა ფილიალში. გარდა ამისა ფონდ იავნანასა და ეროვნულ ბიბლიოთეკის შენობებში. ამავდროულად პროექტი მოიცავს "მოსიარულე ბიბლიოთეკას"</p> <p><b>შედეგად</b> ყველა სოფელის სკოლაში იქნება ბიბლიოთეკა. მეორეს მხრივ გაიზრდება ახალგაზრდობის სოციალურ აქტიურობებში ჩართულობა და მოხდება წიგნის პოპულარიზაცია საქართველოში, მომარაგდება რეგიონალურ ბიბლიოთეკებს.</p>	
12	ააიპ „NOOSFERA FOUNDATION“	“CineDOC-Tbilisi“-ის საერთაშორისო დოკუმენტური კინოფესტივალის სექცია “CineDOC-Young”	<p>პროექტის მიზანს წარმოადგენს დოკუმენტური კინოს პოპულარიზაცია: CineDocYoung-ის სექციის ფარგლებში მოზარდებისთვის უახლესი შემოქმედებითი დოკუმენტური ფილმების წარდგენა. კრიტიკულ-ანალიტიკური აზროვნების განვითარება: კინოჩვენებების, დისკუსიის მოწყობა. ცნობიერების ამაღლება: კინოჩვენებები ისეთ თემებზე, როგორცაა: ეკოლოგია, დემოკრატია, გენდერი, მოზარდების პრობლემატიკა და სხვ.</p>	16860 ლარი
13	ააიპ „ლიტერატურული კლუბი“	მკითხველის კონკურსი	<p>პროექტის ფარგლებში დაგეგმილია სამიზნე ჯგუფებისთვის კლასიკური, თანამედროვე, პოპულარული ავტორების ნაწარმოებების შერჩევა, თითო სამუშაო პერიოდში ორი ან სამი წიგნი. ამ წიგნებზე მუშაობისას მონაწილეებმა უნდა მოახდინონ აზროვნების დონეების მიხედვით: (ცოდნა, გაგება, გამოყენება, ანალიზი, სინთეზი და შეფასება) წაკითხული ტექსტის ათვისება. (ჩიკაგოს უნივერსიტეტის პროფესორის ბ. ბლუმის (1913—1999) თეორიის მიხედვით) მოხდება ბიბლიოთეკებში მონაწილეების მოწვევა. წიგნების წასაკითხად მონაწილეებს მიეცემათ დრო 20-25 დღის ვადით. შეიქმნება საკონკურსო წიგნების ელ. ვარიანტი (apk, java ფორმატში).</p>	8610 ლარი
14	ააიპ „დავათური“	სამჭედლო საქმის სწავლება სოფელ დავათის ახალგაზრდებისათვის	<p>განხორციელებული პროექტის შედეგად სოფელ დავათში იფუნქციონირებს სრულად აღჭურვილი სამჭედლო სახელოსნო, სადაც დასაქმებული იქნება სამი ადგილობრივი ახალგაზრდა. ხელსაყრელი პირობები ხელს შეუწყობს სამუშაო პროცესის ეფექტურობას, რაც თავისთავად დარგის განვითარების წინაპირობაა. პროექტის ბოლოს მეიარაღე ოსტატი თავის მოწაფეებთან ერთად წარმოადგენს ერთობლივად შექმნილი ნამუშევრებს და მოაწყობს გამოფენას.</p>	13184 ლარი
15	ააიპ „საერთო სამოქალაქო მოძრაობა მრვალეროვანი საქართველოს ახალგაზრდული კავშირი“	ძალა ერთობაშია - აღმოსავლეთ პარტნიორობის ახალგაზრდული ფორუმი	<p>პროექტი მიზნად ისახავს ახალგაზრდული ფორუმის გამართვას, რომელიც მიზნად ისახავს ახალგაზრდების ინფორმირებას: აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში ახალგაზრდების ფაქტობრივი მდგომარეობის შესახებ, ასევე ახალგაზრდული პოლიტიკის საჭიროებებზე და პრობლემებზე საჯარო დისკუსიას;</p>	17000 ლარი
16	ააიპ „ახალგაზრდობის ჩართულობის განვითარებისა	თანაბარი შესაძლებლობები სახელმწიფო ზრუნვიდან	<p>18 წელს გადაცილებული ბავშვები ტოვებენ მცირე საოჯახო ტიპის</p>	8625 ლარი

	და განათლების ასოციაცია“	გამოსული(გადაზრდილი) ახალგაზრდებისათვის	სახლებს და შესაბამისი განათლებისა და გამოცდილების გარეშე ცდილობენ რეალობასთან დამოუკიდებლად ადაპტაციას. ეს პროცესი ძლიერ პრობლემატურია, ვინაიდან, ახალგაზრდებს არ გააჩნიათ არც შესაბამისი განათლება და არც პროფესიული გამოცდილება შემდგომი დასაქმებისა და პირადი ცხოვრების უზრუნველყოფისთვის. მათ წინაშე არსებული ყოფითი პრობლემები უბიძგებს მათ ცხოვრების არასწორი გზის არჩევისკენ, რაც გამოიხატება კრიმინალში მონაწილეობაში	
			<b>პროექტის მიზანია</b> ქალაქ რუსთავის მასშტაბით არსებულ მცირე საოჯახო ტიპის სახლებში გატარებული პერიოდის დასრულების შემდგომ, გადაზრდილი ასაკის (18 წლის შემდგომ) ახალგაზრდებს შეექმნათ პროფესიული განათლების შესაძლებლობა, რაც ხელს შეუწყობს მათ ადაპტაციას არსებულ რეალობასთან და მისცემს შესაძლებლობას, მიაღწიონ დამოუკიდებლად ცხოვრების თვითუზრუნველყოფას. აღნიშნული პროექტის იდეა პირდაპირ კავშირშია სოციალური მეწარმეობის განვითარებასთან, რადგან პროექტი ითვალისწინებს გადაზრდილი ასაკის ახალგაზრდების ჩართულობას ოქრომჭედლობისა და ხელსაქმის კლუბში, მათ გადამზადებას და მათ მიერ შექმნილი პროდუქციის რეალიზებიდან შემოსული თანხებით აღნიშნული პროექტის მდგრადობის უზრუნველყოფას საშუალებების მოხმარებაში	
17	ააიპ „ჯანსაღი ახალგაზრდობის ნათელი მომავლისთვის“	მინი ფეხბურთის ტურნირის ფესტივალი	პროექტის მიზანია მცირე საოჯახო ტიპის სახლების აღსაზრდელ ბავშვთა შორის ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია და მათი საზოგადოებაში ინტეგრაცია. ნიჭიერ და პერსპექტიულ მოზარდთა გამოვლენა. მათი ხელშეწყობა და სამომავლოდ წარმატებულ ადამიანებად ჩამოყალიბება. სწორედ ამ მიზნის განხორციელებისთვის პროექტის ფარგლებში იგეგმება მცირე საფეხბურთო ფესტივალის ჩატარება, სადაც მონაწილეობას მიიღებენ მზრუნველობამოკლებული ბავშვები.	10745 ლარი
18	ააიპ „სოციალურ კულტურული განვითარების ცენტრი Social and Cultural Development Center“	ახალგაზრდების აკადემიური და სოციოლოგიური ნაშრომების მხარდაჭერისა და პოპულარიზაციის პროექტი	პროექტის მიზანია ინტერნეტის საშუალებით შეიქმნას სივრცე, სადაც ახალგაზრდებს საშუალება მიეცემათ გამოაქვეყნონ თავიანთი ნაშრომები და ამავდროულად დაიცვან საკუთარი ნაშრომების საავტორო უფლებები. პროექტის მიზანს ასევე წარმოადგენს ხელი შეუწყოს და წაახალისოს ახალგაზრდების, სტუდენტების აქტიუობა აკადემიური ნაშრომების შესრულებისა და სოციოლოგიური კვლევების ჩატარების კუთხით.	14015 ლარი
19	ააიპ „აზერბაიჯანელთა“	ექსკურსია საქართველოს	აზერბაიჯანის მასმედიაში მომუშავე ჟურნალისტებისთვის საქართველოს	13 130

	კულტურის ცენტრი“	ისტორიულ ადგილებში აზერბაიჯანელი ჟურნალისტებისათვის	რამდენიმე ქალაქის ჩვენება, მათთვის ისტორიული და კულტურული ხასიათის ექსკურსიების ორგანიზება, მათი მაღალი თანამდებობის პირებთან, საზოგადოების წარმომადგენლებთან შეხვედრა და ყოველივე ამის შესახებ რეპორტიორების მიერ სტატიების გამოქვეყნება ჩვენი ქვეყნის განვითარებისა და მომავალი პერსპექტივების თაობაზე აზერბაიჯანელ მკითხველს ამომწურავ ცნობებს გადასცემს.	ლარი
20	ააიპ „პაიდეა“	კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრის განვითარება	პროექტის მიზანს წარმოადგენს კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრის აღდგენა. ზრუნვა რეგიონის ბავშვთა და ახალგაზრდობისათვის ჯანსაღი ცხოვრების წესის შეცნობის, მისი უნარ-ჩვევებისა და საერთო განათლების დონის ასამაღლებლად, რაც საგანმანათლებლო პროგრამების საშუალებით განხორციელდება	14 635 ლარი
21	ააიპ „ახალგაზრდული კავშირი „ახალი თაობა მესხეთს“	მშვილდოსნობის სპორტული საზაფხულო ბანაკი	პროექტის მიზანია ახალგაზრდობის აქტიურად ჩაბმა სპორტში. მშვილდოსნობით დაკავება. ჯანსაღი თაობის აღზრდა. სპორტული ბანაკი ერთ-ერთი საუკეთესო საშუალება ქართულ და არაქართულენოვან ახალგაზრდებს შორის ურთიერთობისა და დამეგობრების გაღრმავებისა. ახალგაზრდებში მშვილდოსნობის, როგორც ძველი მესხეთის ერთ-ერთი ტრადიციული სპორტის სახეობის პოპულარიზაციის მიზნით სპორტული საზაფხულო ბანაკში მშვილდოსნობის სწავლება და განვითარება. საქართველოსა და კერძოდ ჩვენი კუთხის ისტორიის გაცნობის მიზნით ასპინძის ახლო მდებარე ისტორიული ძეგლების დათვალიერება, ლაშქრობის, საველე მშვილდოსნობის შეჯიბრებებისა და ღონისძიებების მოწყობა	12 632 ლარი
22	ააიპ „საქართველოს კულტურის პოპულარიზაციის ცენტრი“	საერთაშორისო სტუდენტური სამეცნიერო კონფერენცია: სამხრეთ კავკასიის ევროპული ინტეგრაციის პერსპექტივები	კონფერენციის ჩატარება ოთხი სექციის მეშვეობით არის გათვალისწინებული: თანამედროვე ევროპული სახელმწიფოს მშენებლობა; ბიზნესში ნოვატორული ეკონომიკური, მმართველობითი და მარკეტინგული მეთოდებისა და მიდგომების გამოყენება; კანონდებლობის ჰარმონიზაციის საკითხები ევროკავშირის მოთხოვნებთან; თანამედროვე ტექნოლოგიები და ინოვაციური პოტენციალის ზრდა.	13 220 ლარი